ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4859917

ნომერი: AR1732907

თარიღი : 06.02.2020

გაცემის თარიღი : 13.02.2020

გაცნობის თარიღი : 20.02.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 40ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა მიქელაძე პ/ნ 01024014178
- თბილისი ს.ცინცაძის ქ. N 33 ბ. 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 30 იანვრის №4840764 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 6

თებერვალს №AR1732907 განცხადებით მომართა შალვა მიქელაძემ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 30 იანვრის №4840764 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 30 იანვრის №4840764 ბრძანებით დამტკიცდა, ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N40ა, №01.14.05.008.126 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2020 წლის 30 იანვრის №4840764 ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა ფუნქციური ზონა, კერძოდ ნაცვლად საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)-ისა დაფიქსირდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).
სამსახურმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით №01.14.05.008.126 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), თუმცა 2020 წლის 30 იანვრის №4840764 ბრძანებაში დაფიქსირდა არასწორად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 30 იანვრის №4840764 ბრძანებაში:
1.1.ფუნქციურ ზონად დაფიქსირდეს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) - საშუალო ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს.
1.2 ნორმატიულ ფასად დაფიქსირდეს 68 ლარი;
1.3 განაშენიანების რეგულირების პარამეტრებად დაფიქსირდეს
კონკრეტული ფუნქციური ზონის პარამეტრები:
განაშენიანების რეგულირების პარამეტრები
კ-1
0,5* / 0,7
კოეფიციენტი
კ-2
3,5
კოეფიციენტი
კ-3
0,2
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე
–
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
600 / 700 *
კვ.მ
მინიმალური სიგანე
15 / 20 *
მეტრი
მინიმალური სიღრმე
25 / 30 *
მეტრი

შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე
–
მეტრი
შენიშვნა
* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 30 იანვრის №4840764 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 30 იანვრის №4840764 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.